პორტალის მოხმარების წესები და პირობები

1. პორტალი მუშაობს საპილოტე რეჟიმში, მხოლოდ №8 პენიტენციურ დაწესებულებაში და მისი სრულად დანერგვა დამოკიდებულია ადოკატების მიერ პორტალის მოხმარების წესების და პირობების სრულყოფილად დაცვაზე.

2. პორტალის გამოყენება ხდება მხოლოდ ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ბარიერს მიღმა შეხვედრის დაჯავშნის მიზნით. სხვა შემთხვევაში უნდა ისარგებლოთ სტანდარტული პროცედურითა და ცოცხალი რიგით.

3. არ შეიძლება თანმიმდევრობით დაჯავშნოთ ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე რამდენიმე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეხვედრა.

4. თუკი ერთი და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შესახვედრად ადვოკატების მიერ დაჯავშნილია ერთი და იგივე დრო, პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია ჯავშნის დროში შეიტანოს ცვლილება და აღნიშნულის შესახებ აცნობოს ადვოკატს.

5. პორტალის გამოყენებით ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან დაჯავშნილი 1 (ერთი) ვიზიტის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 30 წთ. აღნიშნული დროის მკაცრად დაცვა აუცილებელია. უფრო ხანგრძლივი ვიზიტის მიზნებისთვის, საჭიროა ისარგებლოთ სტანდარტული პროცედურითა და ცოცხალი რიგით.

6. პორტალის გამოყენებით შეიძლება ზედიზედ მხოლოდ 3 ვიზიტის დაჯავშნა, მათ შორის ერთი და იგივე ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეხვედრისთვის. სხვა შემთხვევაში უნდა ისარგებლოთ სტანდარტული პროცედურითა და ცოცხალი რიგით.

7. თუკი ბრალდებულთან/მსჯავდებულთან ვიზიტი ითვალისწინებს საგამოძიებო მოქმედების განხორციელებას, ადვოკატმა უნდა ისარგებლოს მისი დაცვის ქვეშ მყოფთან ვიზიტის სტანდარტული პროცედურითა და ცოცხალი რიგით.

8. დაუშვებელია ერთი ადვოკატის მიერ სხვა ადვოკატისთვის ჯავშანის განხოროციელება. ჯავშანით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ იმ ადვოკატს, რომლის სახელითაც არის გაკეთებული ჯავშანი.

9. ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან შეხვედრის დაჯავშნა უნდა განახორციელოთ შეხვედრამდე მინიმუმ 24 საათით ადრე.

10. საჭიროების შემთხვევაში, დაჯავშნილი ვიზიტის გაუქმება უნდა განახორციელოთ ჯავშანის საწყის დრომდე მინიმუმ 1 საათით ადრე.

11. შეხვედრის დღეს, პენიტენციური დაწესებულების მისაღებში უნდა გამოცხადდეთ დაჯავშნილ დროზე 10 წუთით ადრე. დაჯავშნილი დროიდან 20 წუთის გადაცილების (არ გამოცხადების) შემთხვევაში, ჯავშანი გაუქმდება.

12. თუკი დაფიქსირდება რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ადვოკატი არ გააუქმებს ჯავშანს (თუ აღარ არსებობს შეხვედრის საჭიროება) და არ გამოცხადდება შეხვედრაზე, მას შეეზღუდება პორტალზე წვდომა.

13. დასაჯავშნი ადგილები პორტალზე განთავსდება 1 (ერთ) კვირიანი შუალედებით.

14. ადვოკატის მიერ პორტალის არამართლზომიერად სარგებელობისა და ამ წესებისა და პირობების დარღვევის შემთხვევაში, ადვოკატს შესაძლოა შეეზღუდოს პორტალზე წვდომა.

ბრალდებულთან/მსჯავრდებულთან ვიზიტის დაჯავშნის ელექტრონული პორტალის ცხელი ხაზია - 511 10 30 97. ცხელი ხაზის გადატვირთულობიდან გამომდინარე, გთხოვთ, აღნიშნულ ნომერზე დაკავშირება განახორციელოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თქვენთვის საჭირო ინფორმაციას ვერ მიიღებთ ვიდეო ინსტრუქციისა და ამ წესებისა და პირობების გაცნობის შედეგად ან თუ ჯავშნის განხორციელების პროცესში შეგექმნებათ დაბრკოლება.